სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

№ 9 (4513) • 27 მაისი • 2015 წელი • • • • • გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით • ფასი 80 თეთრი •

„ეღირსებათო დევნილთა სოხუმის გორზე შადგომა“

საზოგადოებრივი კოლეჯის პოტენციალი

რაოდენ გულსატკენია, რომ დღეს აფხაზეთის პრობლემა დედისგან მიტოვებულ ბავშვსა ჰგავს. დევნილების გარდა ბევრს, ძალიან ბევრს არცკი ახსოვს და აფორიაქებს ეს საკითხი. მარტო ძახილი „გვახსოვდეს აფხაზეთიო!“ ან სიმღერა „გამარჯობა, აფხაზეთო შენიო! და ბღავილი „ოკუპანტი, ოკუპანტიო!“. არაფრის მომტანი ურაპატრიოტიზმია. არადა, დავით აღმაშენებლის ბრძოლა, გამჭრიახობა და დიპლომატია არის დღეს აუცილებელი. აფხაზეთში დაბრუნების ან აფხაზეთის დაბრუნების ბევრი რესურსი არსებობს. მათ შორის ერთ-ერთი უთუოდ დანარჩენ საქართველოში განფენილი აფხაზეთის განათლებისა და კულტურის კერების საქმიანობის, მათი პოტენციალის ამაღლება-გაძლიერებაა.

მეტროსადგურ „ღრმაღელეს“ პირდაპირ თვალი მომტაცა წარწერამ: **„სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯი“.** მაშინათვე გადავწყვიტე, გავცნობოდი თანამემამულეთა ცხოვრება-საქმიანობას.

* * *

სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯი დაფუძნდა 2012 წელს სოხუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ბაზაზე. კოლეჯის დირექტორი **ვლადიმერ ჭანია** ფილოლოგიის დოქტორი. **ვახტანგ ჭანია** ისტორიის დოქტორი, კი დირექტორის მოადგილეა პროგრამული უზრუნველყოფის დარგში.

კოლეჯი ახორციელებს შემდეგ პროფესიულ პროგრამებს: **ბუღალტერი** – მესამე საფეხური, **ინფორმაციული ტექნოლოგი** – მესამე საფეხური, **ტუროპერატორი** – მესამე საფეხური, **ტუროპერატორი** – მეოთხე საფეხური, **საბაჟო წარმომადგენელი** – მესამე საფეხური, **კრიმინალისტი** – მესამე საფეხური, **ოფისის მენეჯერი** (მდივან-რეფერენტი) – მესამე საფეხური, **ფარმაცევტის თანაშემწე** – მეხუთე საფეხური, **ექთნის თანაშემწე** – მესამე საფეხური.

კოლეჯი უაღრესად კვალიფიციური კადრებით არის დაკომპლექტებული. მას ღირსებას და ავტორიტეტს უხვეჭს ეკონომიკის აკადემიური დოქტორი **გუგული ყურაშვილი**, **ლამარა გრიგოლია** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, **ბესიკ ჩახნაშვილი**, **ნანა იაძე**, **ქეთევან ბუხნიკაშვილი**, **დალი კერესელიძე**, **მარგარიტა მაზანაშვილი**, **ლილი კოჭლამაზაშვილი** – ეკონომიკის დოქტორი, **გიმზერ ალანია** – სამართლის დოქტორი, **ნ. ოკმელაშვილი**, **ლეილა ბერულავა** – ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი, **მაკა ადეიშვილი**, **ბიძინა ლემონჯავა** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, **ნინო მაშია**, **მერაბ კვანტალიანი**, **ცისანა ხოშტარია** – ტექნიკის აკადემიური დოქტორი, **სიმონ ხოშტარია** – ტექნიკის აკადემიური დოქტორი, **დათო ქარცივაძე**. ასეთ პროფესიონალებს რომელი უნივერსიტეტი არ ინატრებდა?

კოლეჯი აღჭურვილია კაბინეტ-ლაბორატორიებით (ფარმაციის კაბინეტი, ინფორმაციული ტექნოლოგიის კაბინეტი). კოლეჯში არსებობს ბიბლიოთეკა (გამგე **თამუნა ფიროსმანიშვილი**), რომლის წიგნადი ფონდი შეადგენს 3122 წიგნს.

წარჩინებული სტუდენტები არიან: **სოფიკო კუპრავა**, **ლუკავა ტოტია**, **ხანდუკიანი ელვიგა**, **ბადაშვილი ლუკა**, **თოდუა გიორგი** და სხვები. კოლეჯი ამაყობს წარმატებული სპორტსმენებით, რომლებსაც აღებული აქვთ მრავალი ჯილდო: ჭიდაობა სამბოში – **თამაზ ნოზაძეს**, კრივში – **ალეკო ჭადაშვილი.**

დასაქმებული კურსდამთავრებულები არიან: **კახა მახარაძე**, **ნათია არაჰამია** და სხვები.

კოლეჯის სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გადიან მემორანდუმის საფუძველზე სხვადასხვა დაწესებულებებში – **„საბანკო სწავლების ცენტრში“**, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, **„ჯითი ექსპრეს სერვისში“**, **თბილისის პედიატრიულ „პრივატ კლინიკაში“** შპს **„ლაკი ტური“**, შპს **„პანაცეაში“**, შპს **„მაგფარმასა“**, შპს **„ფარმაგიოში“**.

სტუდენტების ცხოვრებას მეტ ხალისს მატებს მშვენიერი გაზეთი **„ცხუმი“**, სადაც საინტერესო მასალები იბეჭდება. მკითხველს უთუოდ მოეწონება მწერალ **ლადო ჭანიას** მძაფრსიუჟეტიანი ნოველა **„სასჯელი“**, რომელიც აფხაზეთის ტრაგედიის პერიპეტიებს ასახავს.

კიდევ ბევრი კარგის თქმა შეიძლება ამ კოლეჯზე. ამჯერად ეს ვიკმაროთ. დიდი გამარჯვება მინდა ვუსურვო სოხუმის საზოგადოებრივ კოლეჯს, პირველ რიგში კი – აფხაზეთში დაბრუნება!

ბორის კინდღელი

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: “საქპრესა” _ გურამიშვილის გამზ. 64, ტელ.: (032) 2 518 518, “მაცნე” _ საირმის ქ. კორპ N 4, ტელ.: 2 14 74 22.

თბილისის 119-ე საჯარო სკოლაში

მიზანი, რომელიც მიღწეულზე მეტია

გარეუბნის სკოლებს შორის 119-ე საჯარო ერთ-ერთი საუკეთესოა, ეკოლოგიური გარემოთიც გამორჩეულია. „მას არ აწუხებს აურზაური, გამონაბოლქვი მანქანებისა“.

აქ მოღვაწეობს მტკიცედ შეკრული გუნდი ძლიერი პედაგოგებისა, რომელსაც უნარიანად უძღვება გამოცდილი, ახალგაზრდა, შემოქმედი დირექტორი **პაატა რაზმაძე**, მეთორმეტე სკოლისა და დედაუნივერსიტეტის აღზრდილმა ისტორიის მასწავლებელმა პედაგოგიური წრთობა 48-ე სკოლაში გაიარა. ზედიზედ გაიმარჯვა სკოლის დირექტორების მკაცრ კონკურსებში. იგი არა ჰგავს მხოლოდ ქულებით და ბედის სიცილით მოვლენილ დირექტორებს, რომელთაც პედაგოგობისა ბევრი არაფერი სცხიათ.

სკოლის იერ-სახესა და ინფრასტრუქტურაზე ამჯერად არ შევჩერდებით, რადგანაც იგი სასურველად მოწესრიგებულია.

დირექტორისა და პედაგოგების მთელი ძალისხმევა მხოლოდ მიღწეულის განმტკიცებასა და გაუმჯობესებისკენ არის მიმართული.

ამ დიდ საქმეში პედაგოგებთან ერთად ლომის წვლილი შეაქვთ: დირექტორის მოადგილეს, ჩინებულ პედაგოგს **მაკა ბრეგვაძეს**, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს, მშობელ **მზია ოზაშვილს**. ახალგაზრდების სასკოლო ცხოვრებას ახალისებს მოსწავლეთა თვითმმართველობა X კლასელი **ალეკო ახალაიას** ხელმძღვანელობით.

ვინ არ იცის, რომ წარმატებას, შედეგიანობას სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისა დიდად განაპირობებს საგნობრივი კათედრების მოქნილი მუშაობა. ამ მხრივ დირექტორს სადარდებელი არაფერი აქვს. შვიდ კათედრას შვიდი გამოცდილი ხელმძღვანელი უნარიანად უძღვება: ქართულის

საგნობრივ კათედრას განაგებს ნიჭიერი ფილოლოგი **ლია სიდამონიძე**, მათემატიკისას – **ლია ძულიაშვილი**, უცხოური ენებისას – **ნარგიზ თევდორაძე**, საზმცოდნეობისას – **მაია სამსონიძე,** საბუნებისმეტყველოს – **ლელა ლომსაძე**, დაწყებითებისას – **გულქანა დოლიძე**, ესთეტიკა-სპორტისას – **თამარ ხვლეური**.

ბევრი სკოლა ინატრებდა ისეთ ძლიერ, სერთიფიცირებულ პედაგოგებს, როგორებიც არიან: **ნინო მაისურაძე** (რუსული ენა), **ნინო კაპანაძე** (მათემატიკა), **ნანა ბრეგვაძე** და **ნონა ოზაშვილი** (ინგლისური), **მაკა ბრეგვაძე** (ისტორია), **რუსუდან რურუა** (დაწყებითები), **მეგი მდინარაძე** (ქართული), **მაია პაიჭაშვილი** (ისტორია), **ია სამხარაძე** (გეოგრაფია). მათი გატაცებული, მეთოდურად სწორად წარმართული მუშაობის შედეგია, რომ სკოლაში უამრავი ნიჭიერი, სწავლაში წარჩინებული (ე. წ. „ათოსანი“), შემოქმედებითი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი მოსწავლე ჰყავთ.

კლასის დამრიგებელი რომ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სული და გულია, ყველამ იცის. უდიდესია მისი როლი და მნიშვნელობა სასკოლო ცხოვრებაში. ხუმრობით (თუ არა სერიოზულად) კლასის ხელმძღვანელს შეიძლება „პატარა დირექტორი“ ვუწოდოთ, იმდენ მრავალმხრივ შრომას ეწევიან.

დიდ დირექტორს ვთხოვეთ მოწინავე, ყველაზე აქტიური და გატაცებით მომუშავე „პატარა დირექტორები“ დაესახელებინა. თავი შეიკავა: ევრავის გამოყოფ, ყველა უნარიანად ართმევს თავის საქმეს თავსო.

„ხე ნაყოფითა საცნაურ არს“, – გვასწავლის ბიბლია. პედაგოგის შრომა მოწეული მოსავლით, ე. ი. სწავლების მაღალი ხარისხითა და შედეგებით ფასდება.

დირექტორის კაბინეტს ამშვენებს ამ შედეგების აღმნიშვნელი, ანუ მოსწავლეთა ოლიმპიადებში, კონფერენციებში, კონკურსებში, მასშტაბურ მხატვრულ-შემოქმედებით თუ სპორტულ ღონისძიებებში მოპოვებული ჯილდოები სერთიფიკატების, დიპლომების, სიგელების, მადლობების სახით. და ეს ხომ ყველაფერი პედაგოგებისა და კლასის დამრიგებლების კარგი მუშაობის გამოხატულებაა. ყველა მათგანს ვინ ჩამოთვლის, გაზეთის გვერდი ვერ დაიტევს, ამიტომ შეძლებისდაგვარად, კომპენსაციას ფოტოებით მოვახდენთ.

შარშან 30-მა მოსწავლემ დაამთავრა სკოლა. კარგი სწავლით თავი **ნათია კილაძემ** ისახელა – მან ოქროს მედალი მოიხვეჭა. კურსდამთავრებულთაგან უმრავლესობა სტუდენტი გახდა.

მიმდინარე სასწავლო წელს კი გაცილებით უკეთეს შედეგებს ელოდებიან. სკოლას ოთხი მედალოსნობის კანდიდატი ჰყავს: **თორნიკე ოჩხიკიძე**, **მარიამ მუმლაძე**, **ანა აბაშიძე** და **თორნიკე გიორგაძე** ოქროს მედლებს უმიზნებენ.

წარმატება ვუსურვოთ მათ!

სასწავლო წელი დასასრულს მიუახლოვდა.

წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო, – ნათქვამია. სკოლის შემოდგომა კი ივნისშია. წელს გაცილებით მეტი წიწილა (სწავლა-ცოდნაში) დაგეთვალოთ, ვიდრე შარშან, ძვირფასო მოსწავლეებო და მასწავლებლებო!

ბორის ევგენიძე

კერძო სკოლის დიდი სიკეთე

საუბარი გვექნება თბილისის ერთ-ერთ წამყვან კერძო სკოლაზე, სადაც მთელი სრულყოფილებით მიმდინარეობს მოსწავლეების აღზრდა-განათლების მეტად საპატიო და სათუთი საქმიანობა. სკოლა „ლამპარი“ შეიქმნა 2011 წელს სამი კერძო სკოლის გაერთიანების ბაზაზე. მისი დაფუძნების ინიციატორები არიან ღვაწლმოსილი პედაგოგები: **ლალი გარდაფხაძე**, **რუსუდან ყურშავიშვილი** და

დარეჯან ქადაგიძე, რომლებიც გატაცებით იღვწიან ამ სკოლის კეთილდღეობისთვის.

„ლამპარი“ გთავაზობთ სწავლების თანამედროვე მეთოდებს, ეკოლოგიურად სუფთა, უსაფრთხო გარემოს და ერთ–ერთ საუკეთესო ინფრასტრუქტურას საქართველოში. სკოლის გამოცდილი და კვალიფიციური მასწავლებლებისა და მრავალფეროვანი სასწავლო პროგრამების დახმარებით მოსწავლე იძენს ღირებულ ცოდნას, ხდება ანალიტიკურად და შემეცნებითად მოაზროვნე, ინვითარებს ინდივიდუალიზმსა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რაც თითოეული მათგანისათვის წარმატების გარანტია.

„ლამპარში“ ყველა საგნის გაღრმავებული სწავლება და მოსწავლეებთან ინდივიდუალური მიდგომა განაპირობებს თითოეული მათგანის წარმატებას არა მხოლოდ საატესტატო და ეროვნულ გამოცდებში, არამედ მომავალ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია, ინფორმატიკის, მუსიკისა და ხელოვნების კაბინეტები, სპორტული და საკონფერენციო დარბაზები, მედპუნქტი. აღჭურვილია სათვალთვალო კამერებით, არის გათბობის თანამედროვე სისტემა, ემსახურება საკუთარი ტრანსპორტი, იცავს დარაჯი.

აქ მოსწავლეთა აღზრდა-განათლების საქმეს ემსახურება 43 პედაგოგი, აქედან სერთიფიცირებულია: **ლელა საგინაშვილი**, **ნინო მგალობლიშვილი**, **ლელა ივანიძე**, **ელზა გალეგაშვილი**, **ინგა გუგულაშვილი**, **ლია ცნობილაძე**, **შორენა ვარდიძე**, **ქეთი სარალიძე**, **ინგა ბიძიშვილი**, **თეონა ჩიტაშვილი**, **ხათუნა ხატისაშვილი**, **მანანა ჭელიძე**, ხოლო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გახლავთ ქალბატონი **გულიკო მჭედლიძე**.

ამათთან ერთად შემოქმედებითად მოღვაწეობენ მოსწავლეებზე და სკოლის ხვალინდელ წარმატებულ დღეზე ფიქრით: **აბესლამიძე შორენა**, **ურიადმყოფელი ეკატერინე**, **ჯალალონია ნინო**, **ხორავა თამარი**, **ყეინაშვილი ნინო**, **პაპიაშვილი ნანა**, **თოფურია ანა**, **წყაროზია გულიკო**, **რურუა მარინე**, **ჯიქია ინგა**, **ყურშავიშვილი ქეთევანი**, **საბაძე ნინო**, **ღუდუშაური მანანა**, **გალეგაშვილი ელზა**, **ხვედელიძე მარიკა**, **გაბუნია ნანა**, **ბერძენიშვილი მაია**, **ყველაშვილი თამარი**, **მეცხვარიშვილი ნონა**, **ჯავახიშვილი ეკატერინე**, **მაკარიძე მამუკა**, **ჯულიეტა ჩოკოლაშვილი**, **მაკა გველესიანი**, **შორენა ვარდიძე**, **ქეთევან ბერიძე**, **ნანა თეთრუაშვილი**, **ბექა გიუნაშვილი**, **მამა – დავით ნოზაძე**, **ჭელიძე მანანა**, **მამესწარაშვილი მაია**, **რეხვიაშვილი ხათუნა**, **ჯვინიკაძე მარი**, **ღვინიანიძე ნინო**, **ოსიშვილი თეონა**, **ხიჯაკაძე ლელა**. ცოდნის დონის შემოწმების, შეფასებისა და ამაღლების მიზნით ყველა კლასში ტარდება სემესტრული და წლიური გამოცდა. პედაგოგები გარკვეული სირთულეების მქონე მოსწავლეებს დამატებით გაკვეთილებს უტარებენ და აუმჯობესებენ მათი აკადემიური მოსწრების მაჩვენებელს.

ცოდნის გზა გაგვიხსნეთ, „ლამპარო!“

სწორედ ამ ერთიანი კოლექტივის დამსახურებაა ის, რომ სკოლას ჰყავს მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა კონკურსებში, ინტელექტუალურ თამაშებში, სასწავლო ოლიმპიადებზე. აქ იმარჯვებენ და ღებულობენ სერთიფიკატებს, სხვადასხვა ხარისხის დიპლომებს, საგზურებს და ასე შემდეგ. წარმატებულთა რიგებში არიან: **ლიზი თურმანიძე**, **ლაშა კუპრაშვილი**, **ანა ჯიქია**, **ნინო სპირლიევა**, **სალომე გობეჯიშვილი**, **თეონა ოთარაშვილი**, **ელენე ბრეგვაძე**, **სოფო მამალაძე**, **ლილე ჭინჭარაული**, **თეკლე ქუსიკაშვილი**, **თამარ შეყრილაძე**.

სკოლაში ტარდება კედლის გაზეთების, კონფერენციების, ღია გაკვეთილებისა და პროექტების საგნობრივი კვირეულები.

სკოლა „ლამპარი“ აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ოლიმპიადებში, ოლიმპიადა „KINGS“-ის მეშვეობით **ლიზი თურმანიძე** და **თეკლა ქუსიკაშვილი** მოხვდნენ საუკეთესო მოსწავლეთა შვიდეულში და დიპლომებსა და სერთიფიკატებთან ერთად დაიმსახურეს ანაკლიის საგზურები. დიპლომები მოიხვეჭეს: **ლილუ ჩხარტიშვილმა**, **ლიზი მოძღვრიშვილმა**, **ნატალი ლილუაშვილმა**, **თიკო ჩოჩელმა**, **ქრისტინე გულორდავამ**, **თაკო თინიკაშვილმა**, **ლუკა კუპატაძემ**. სერთიფიკატებით დაჯილდოვდენენ: **ნინო გაფრინდაშვილი**, **საბა აღვსებაძე**, **ნიკა ნუკრაძე**, **ტარიელ დოთიაშვილი**, **ნანა მინდაძე**.

ოლიმპიადა „ევერესტმა“ უმასპინძლა და დააჯილდოვა **ილია ჩაჩანიძე**, **ალექსანდრე კობახიძე**, **მეგი ჟვანია**, **ანა შილაკაძე**, **ანა ფანიაშვილი**, **საბა ბუთხუზაშვილი**, **დიმიტრი საკანელაშვილი**.

სანიმუშო ყოფაქცევის, სწავლაში მიღწეული შედეგებისა და სხვა წარმატებისათვის მოსწავლეებს, წახალისების მიზნით, დირექცია სიგელებით, დიპლომებით, ფულადი პრიზებითა და სხვა საჩუქრებით აჯილდოებს.

შვილის აკადემიური მოსწრებისა და შეფასების შესახებ

ინფორმაციის ოპერატიულად მიღება მშობელს ელექტრონული ჟურნალით შეუძლია. I-VI კლასის მოსწავლეებისათვის 5^{30} საათამდე ფუნქციონირებს გახანგრძლივებული ჯგუფები. გამოცდილი პედაგოგების მეთვალყურეობითა და დახმარებით ბავშვებს საშუალება ეძლევათ სრულყოფილად მოამზადონ დავალებები. მათთვის უფასოა ერთჯერადი კვება.

პედაგოგიური კოლექტივის მთელი მონდომება და გულისხმიერება მიმართული იყო და არის სასწავლო კათედრების აქტიური მუშაობისკენ, რათა მაღალი იყოს მოსწავლეთა განათლების დონე, სკოლაში ფუნქციონირებს 6 კათედრა: **ქართული ენის** და **ლიტერატურის**, რომლის ხელმძღვანელიც გახლავთ **მანანა ჭელიძე**, **მათემატიკის – ინგა ჯიქია**, **უცხო ენების – ლელა ივანიძე**, **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა** – ხელმძღვანელი **ქეთევან სარალიძე**, **ესთეტიკის – თამარ ყველაშვილი**, **საზოგადოებრივი დისციპლინების კათედრა – ინგა ბიძიშვილი**.

სკოლას აქვს გაძლიერებული უცხო ენებისა და მათემატიკის პროგრამები. ინგლისურის გარდა მოსწავლეები ეუფლებიან რუსულ ენას. რაც შეეხება კლასგარეშე აქტივობებს, სკოლაში ფუნქციონირებს **მეტყველების**, **ხატვის**, **ჭადრაკის**, **ჩოგბურთის**, **ცეკვის**, **მუსიკისა** და **ცურვის** წრეები.

ამდენად სკოლა „ლამპარში“ არსებობს ყველა რესურსი იმისათვის, რომ სკოლის საგანმანათლებლო პროცესები იყოს სრულყოფილი, ეფექტური და პროდუქტიული.

წარმატებებს ვუსურვებთ სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს და მოსწავლეებს. გვჯერა, მათი მიზანმიმართული სწრაფვა ცოდნის მწვერვალებისკენ გამარჯვებით დაგვირგვინდება.

ნანა ფიფია

„იზარდე, მწვანე ჯეჯილო,

დღეს გულს გვიხარებს მზე და მაისი

შარშან, დეკემბერში ამ ბაგა-ბაღზე გამოქვეყნდა ვრცელი სტატია, სადაც საუბარი იყო ინფრასტრუქტურის კუთხით ბევრი პრობლემის მოგვარებაზე. დედაქალაქის მერიამ, რაიონის გამგეობამ და ბაგა-ბაღის მართვის სააგენტომ თავის თავზე აიღო ამ საკითხების გადაჭრა. მართლაც, სულ მოკლე დროში ეს დაპირება ბრწყინვალედ შესრულდა. საახალწლოდ გაიხარეს ცეროდენებმა.

– ვაჟკაცური სიტყვა ვაჟკაცურად შეასრულეს. მშობელთა და მთელი კოლექტივის სახელით ამისთვის უღრმესი მადლობა დედაქალაქის მერს **დავით ნარმანიას**, ნაძალადევის რაიონის გამგებელს **ზაზა გაბუნიას** და განსაკუთრებით სააგენტოს უფროს **თემურ თორდინავას**! – სიხარულით განაცხადა ჩვენთან საუბარში ღვაწლმოსილმა პედაგოგმა ბაგა-ბაღის დირექტორმა **მარინე სამსონიძემ**.

სწორედ ამ გაკეთებულ საქმეებზე გვექნება ქვემოთ საუბარი.

თბილისში მიწისძვრის დროს შენობის მარჯვენა ფლიგელი გახდა ავარიული, რომლის აღდგენა, გამაგრება და ახალი ჯგუფის გახსნა შესაძლებელი გახდა ბაგა-ბაღების სააგენტოს უშუალო თანადგომით, ბატონ **თემურ თორდინავას** აქტიური ჩარევით და მხარდაჭერით გაიხსნა ახალი ჯგუფები, სადაც დასაქმდა 5 ახალი თანამშრომელი. დღეს ბაგა-ბაღში ფუნქციონირებს 12 სააღმზრდელო ჯგუფი.

მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდას თავდადებით ემსახურებიან ღვაწლმოსილი, ამაგდარი აღმზრდელები: **თინა დავითიძე**, **დიანა შარიქაძე**, **ციცინო სხირტლაძე**, **მზია ორჯონიკიძე**, **ფატი ოდიშარია**, **ჯულიეტა სოხაძე**, **გიული ბარნაბიშვილი**, **ციცო მახარობლიშვილი**, **ლიანა ჩიქოვანი**, **ციალა ჩალიგავა**, **ნინო ბოკუჩავა**, **ქეთევან პაპოშვილი**, **ნათია ხუნაშვილი**. მათ მხარში უდგანან თანაშემწეები: **ლუდა ფარსადანიშვილი**, **ლაურა ლიჩელი**, **სოფიო ჯოლია**, **ნინო კუსიანი**, **ანასტასია დიევერაშვილი**, **მაკა ხაჩიური**, **მაია მახაჯაშვილი**, **ნინო ჯიბლაძე**, **ლენა ხუდოევა**, **თამარ ორჯონიკიძე**, **ზაირა გედევანიშვილი**, **ლაურა სვანიძე**, **მარინე ქარქაშიძე**, **მთვარისა ობოლაძე**, **ციცინო მილაძე**, **მანოლი ღვინაძე**, **მონიკა ფაჩულია**, **ნათია კვირიკაშვილი**, **ქეთევან სამხარაძე**, **ნინო სვანიძე**, **ლალი ამირხანაშვილი**, **ლელა კანდელაკი**. ცეროდენებს ძალიან უყვართ მზარეულების: **მანანა ქაჩლიშვილის**, **ლენა მკრტიჩიანის** მომზადებული კერძები. ბაგა-ბაღის კეთილდღეობაში ლომის წილი უდევს საქმისმწარმოებელს **დალი ნიაურს**.

აღსაზრდელების მუსიკალურ განათლებაზე დაუღალავად ზრუნავენ, მუსიკის ამაგდარი, დამსახურებული პედაგოგები: **ლედი ლორია**, **ქეთევან ზუბიაშვილი**. ცეკვას ასწავლის დამსახურებული ქორეოგრაფი **მანანა მამალაძე**.

ბავშვების უსაფრთხოებაზე ზრუნავენ დარაჯები **ვლადიმერ ჯირკვალიძე** და **თამარ მინდორაშვილი**.

ბავშვების ჯანმრთელობის სადარაჯოზე მტკიცედ დგას ამაგდარი მედდა **ციური რიჟამაძე**.

მადლობას იმსახურებს სამეურნეო დარგის კოორდინატორის **მზია ჭანკოტაძის** ენერგიული საქმიანობა.

წყალგაყვანილობის სისტემა რომ მუდამ წესრიგშია სანტექნიკის **ზაზა მიქელაძის** დამსახურებაა.

ეზო გაამწვანა და წალკოტად აქცია შრომისმოყვარე მებაღემ, **გიორგი მაცაბერიძემ**.

ცეროდენების ცხოვრებისათვის მომზადების, მათი შემეცნებითი უნარების განვითარებისათვის თავდადებით იღვწის მეტად გამოცდილი ორგანიზატორი და კოორდინატორი **ნინო ბიაშვილი**, მას მხარს უმშვენებენ შესანიშნავი სპეციალისტი ლოგოპედი, **მზია სტვილია**, ფსიქოლოგი **ირინა ცენტერაძე**, სპეცპედაგოგი **შორენა გოცირიძე**. ბევრს მუშაობს დირექტორის მოადგილე **თინათინ ფიცხელაური**.

შარშან, მერიის „მწვანე აქციის“ დროს დაირგა 100 ძირი მარადმწვანე ნერგი, რომლის დიდი უმრავლესობა დღეისათვის გახარებულია.

სისტემატიურად ხდება ბაგა-ბაღის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

ბაგა-ბაღი შეივსო ახალი თანამედროვე სათამაშოებით, შემეცნებითი ცენტრებით, ავეჯ-ინვენტარით.

აღსაზრდელების მონაწილეობით ტარდება: „მხიარული სტარტები“, მოეწყობა შეჯიბრი საბავშვო ველოსიპედებით, მოძრავი გვირაბებით. ეს მოხდება ბავშვთა დღეს 1 ივნისს.

ღმერთმა დაგლოცოთ, მე-60 ბაგა-ბაღელებო!

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხელის შეწყობისა და მშობლების ამ პროცესში-ჩართულობის მიზნით, არჩეულია და აქტიურად ფუნქციონირებს სათათბირო ორგანო, მასში ხალისით მონაწილეობენ მშობლები: **ნინო ჭიაბრიშვილი**, **თეა გიგაშვილი** და სხვები.

ყველა სააღმზრდელო ჯგუფში ფუნქციონირებს „მშობელთა საბჭოები“. ისინი აქტიურად მონაწილეობენ ბაგა-ბაღის ცხოვრებაში. მორიგეობენ როგორც კვების ბლოკში, ესწრებიან სხვა ღონისძიებებს:

– ნაძალადევის რაიონის გამგეობის, უშუალოდ გამგებლის **ზაზა გაბუნიას** მხარდაჭერით და პირადად მონაწილეობით თებერვლის თვეში ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრის „ემმედის“ სპეციალისტების მონაწილეობით ჩატარდა საქველმოქმედო აქცია „უფასო სამედიცინო მომსახურება“. გამოკვლეულ იქნა 400 აღსაზრდელი და მათ მშობლებს მიეცათ გარკვეული სამედიცინო რეკომენდაციები.

ბაგა-ბაღი წელს გრანდიოზულად ემზადება აღსაზრდელთა გამოსაშვები ღონისძიებების ჩასატარებლად. გამოსაშვები ჯგუფები 120 სკოლისთვის კარგად მომზადებულ ცეროდენას ზეიმით გააცილებს პირველ კლასში.

დიდი მადლობა ბაგა-ბაღის ადმინისტრაციას **მარინე სამსონიძის** ხელმძღვანელობით და შრომისმოყვარე აღმზრდელ-პედაგოგებს, ყველა თანამშრომელს.

რომან მოსეშვილი

დაპურდი, გახდი ყანაო!“

კიდევ ცოტა და... „სკოლისკენ ჰერი-ჰერი!“

სალამი, მე-14 ბაგა-ბაღელებო!

კოხტად ჩასკუპებულა ნაძვნარში თბილისის მე-14 ბაგა-ბაღი. გაიხედეთ, ეზოში რამდენი სათამაშოა? კარუსელი გინდა, აიწონა-დაიწონა, სასრიალო, „აჩუ-აჩუ, ცხენო!“ და სხვა მეტი რაღა უნდათ ბედნიერ ცეროდენებს. ბაღის შენობაში შეხვალთ და ნამდვილი ზღაპრული სამყაროა. ყველგან – სისუფთავე, სიკოხტავე სუფევს. აშკარად ეტყობა ბაგა-ბაღს მზრუნველი ხელი და ეს მზრუნველი ხელი გახლავთ ბავშვებზე შეყვარებული დიდი დიასახლისი, დირექტორი **მედეა გოგნაძე**, რომელიც პროფესიით პედიატრი გახლავთ. იგი ხომ ზედგამოჭრილი ხელმძღვანელია ბავშვთა სამყაროსათვის. მეტად გამოცდილი დირექტორია ქალბატონი მედეა, შვიდი წელია იგი უნარიანად უძღვება ბაგა-ბაღს. აქ ყველას პატივს სცემს დირექტორი – ცეროდენებს, მათ მშობლებს, თანამშრომლებს და სიყვარულის წილ სიყვარულს იხვეჭს.

ინფრასტრუქტურაზე არაფერს ვიტყვით, რადგანაც იგი ყოველმხრივ მოწესრიგებულია. ასე რომ, აქ ცეროდენები ბედნიერ ბავშვობას ატარებენ.

დირექტორის მოადგილე გავიცანით, ახალგაზრდა, მკვირცხლი, ნიჭიერი პედაგოგი **ნანა გულორდავა**, რომელსაც უდიდესი წვლილი შეაქვს ცუგრუმელების აღზრდაში.

თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, ბაგა-ბაღის სული და გულია მეთოდისტი **ნინო ბაკურაძე**. იგი აღმზრდელებთან ერთად ნაყოფიერად უძღვება სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას.

დირექტორი ძალიან კმაყოფილია ფსიქოლოგის, გამოცდილი **მანანა ალანიას** კარგი მუშაობით. საქმისმწარმოებელი **ვერა ლომსაძე** მუდამ აკურატულად აკეთებს თავის საქმეს. დირექტორი ასევე მადლობას უცხადებს ბაგა-ბაღისთვის მეტად საჭირო პროფესიონალს, დაუზარელ მნეს **რუსუდან ჩიტაძეს.**

ცეროდენების ჯანმრთელობისთვის რომ ბევრს ზრუნავს პედიატრიც **მაია კიკვაძე**, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ამიტომაც გამოცდილი ექიმი უაღრესად პოპულარული მუშაკია და დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

და მაინც, ვინც რა უნდა თქვას, ბაგა-ბაღის წარმატება-წინსვლის გარანტი აღმზრდელ-პედაგოგების მუხლჩაუხრელი შრომაა. დაგელოცოთ მარჯვენა ყველას, მადლობა თქვენ დიდი ღვაწლისთვის!

ახალგაზრდებს ალბათ არ ეწყინებათ, თუ დიდხანს ნაღვაწი, დამსახურებული მუშაკები: **ნუნუ კახობერაშვილი, ნინო ჩიხლაძე, ხათუნა მაჩიტაძე**, რომლის ხელით მოხატულ-მოქარგულია ბაგა-ბაღი, **ინგა ამირანაშვილი, შორენა ლორთქიფანიძე, ლია ომაძე, ნონა ჭელიძე, ინგა გაგნიძე** გამოვარჩიოთ, რომელთაც აქტიურად მხარს უბამენ: **ნანა მანჯგალაძე, ლალი ქოჩიაშვილი**, თანაშემწეები: **თეონა არჩუაშვილი, იამზე ცომაია, თამარ ქრისტესიაშვილი, ნათია მათიაშვილი, მზია ლეკიშვილი, ქეთი მეგრელი, ინგა წულიაშვილი, მთვარისა ღონიერაშვილი, ეთერ ილურიძე, თინა ლეჟავა**.

მუსიკალური დარბაზიდან მშობლიური მელოდიები დაირხა. გამოცდილი პედაგოგი მუსიკისა **ელენე ნიკოლაძე** გამოშვების ზეიმისთვის ცეროდენებს ამეცადინებდა. ქალბატონი ელენე და ცეკვის პედაგოგი **ლევან ნიკლაური** პატარებს სულს უფაქიზებენ, ხელოვნების სიყვარულით ზრდიან. აქ ყველა ნიჭიერია, მაგრამ მჯობნის მჯობნი არ დაილევაო, – ნათქვამია.

ყველა საზეიმო ღონისძიებას ვინ ჩამოთვლის, მაგრამ გამორჩევით უნდა აღვნიშნოთ ნიჭიერთა მონაწილეობა ჟურნალ „დილას“ საიუბილეო კონცერტში. თავად ვნახეთ ჩანაწერი და მოხიბლული დავრჩით: **თეკლა ქურციკიძის, ვერიკო ცირეკიძის, ელენე ჯალაღონიას, დათო ვაშაკიძის, გია ვაჩნაძის, ბექა მესხის, ლევან ცერცვაძის, მარი ჯიგურაულის, კესო ღვინიაშვილის, ბექა ხაჩიძის, გია ჯავახიშვილის, გია** და **ბარბარე ანთაძეების, ნინო ბესელიას, ნინო სულაბერიძის, სანდრო გოგოლაძის, ალექსანდრე ნადირაძის, ნემო ბაღიშვილის, გია სტურუას, სალომე ჯავახიშვილის, ნია ჭკადუას, ნინო ჩიქობავას, ელისაბედ ქარჩავას, გვანცა გაგნიძის, დაჩი მჭედლიშვილის, ნიკა კაპოსნიძის** ხელოვნებით.

სხვა ბევრი ნიჭიერი ცუგრუმელაც გავიცანით. მათ შორის არიან: **რეზი ჭიჭაღუა, ლ. ცხადაია, მარი ბაბუაშვილი, ლუკა ჩადუნელი, ანდრია შავიძე, საბა სარალიძე, დაჩი კუსიანი, სანდრო სამხარაძე, ზურაბ დარჯანია, ნინი სირბილაძე, ლილე გაგნიძე, დაჩი კიკვაძე, თიკო მაჭარაშვილი, მათე ბებერაშვილი** და სხვები.

მთელ ბაგა-ბაღში დიდი პოპულარობით სარგებლობენ მზარეულები: **მაია ზავრაშვილი** და **ლელა ბელაშვილი**, მათი დამზადებული არომატული, ყუათიანი კერძები ძალიან უყვართ დიდებსა და პატარებს.

შარშან სწავლისთვის კარგად მომზადებული 70 ბავშვი წავიდა სკოლაში. კიდევ ცოტა და... ჩატარდება გამოშვების ზეიმი. აღმზრდელები: **ნინო ჩიხლაძე** და **შორენა ლორთქიფანიძე** სევდანარევი სიხარულით სკოლისთვის კარგად მომზადებულ ცუგრუმელებს გზას დაულოცავენ და პირველი კლასისკენ გააცილებენ.

წარმატებას გისურვებთ, მე-14 ბაგა-ბაღიდან აფრენილო მერცხლებო!

მაია მიშველაძე

გამარჯობათ, 125-ე ბაგა-ბაღლებო!

აქ ყველგან სითბო და სიყვარულია

„ნამცეცა“ – ასე ეწოდება თბილისის 125-ე საბავშვო ბაგა-ბაღს, რომელიც ჩუღურეთის რაიონში ო. ქინქლაძის ქუჩაზე მდებარეობს. იგი, დედაქალაქში არსებულ ბაგა-ბაღებს შორის ერთ-ერთი გამორჩეულია სისუფთავით, დისციპლინით, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესით... ბაღის ეზოში გაშენებულია სხვადასხვა მწვანე ნარგავები, დამონტაჟებულია სპორტული სათამაშოები, რაც პატარებს ძალიან მოსწონთ.

აღნიშნული ბაგა-ბაღი 1963 წლიდან ფუნქციონირებს და მას აქვს საკმაოდ საინტერესო ისტორია: შენობა, სადაც ამჟამად ბაღია განთავსებული კერძო სახლი ყოფილა და ის ეკუთვნოდა ესტატე და თამარ ჭარხალაშვილებს. ამ კეთილშობილ ადამიანებს, სრულიად უსასყიდლოდ გადაუციათ სახელმწიფოსთვის შენობა – საბავშო ბაღისთვის. ჭარხალაშვილებს, რა თქმა უნდა, ჰყავდათ შვილები, მაგრამ იმ ხანად, უბნის მოსახლეობას ჭირდებოდა ბავშვთა კერა და ეს კეთილშობილური ჟესტი აქაური მაცხოვრებლებისთვის, მართლაც, დიდი სიურპრიზი იყო... თანდათანობით მშვენდებოდა და იზრდებოდა ჭარხალაშვილების კერა... და ვინ მოთვლის, რამდენმა აღსაზრდელმა გაიარა ამ კედლებს შორის და რამდენი სიხარული და ბედნიერება იზეიმა ბაღმა, წლების განმავლობაში. ლოგიკურია, რომ ბაღის ამჟამინდელი მესვეურები, სამომავლოდ შენობის გარეთა ფასადზე თამარ და ესტატე ჭარხალაშვილების მემორიალური დაფის გახსნას გეგმავენ.

125-ე ბაგა-ბაღში, მართლაც შესანიშნავი გარემოა შექმნილი, რაც მისი დირექტორის **დარეჯან ჯამაგიძის** დამსახურებაა.

იგი 7 წელიწადია ბაღს ხელმძღვანელობს და მისი ინიციატივით, მართლაც ბევრი რამ გაკეთდა. პირველ რიგში, შენობას ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, შეიცვალა ინფრასტრუქტურა, კეთილმოეწყო ოთახები, დარბაზი, სამზარეულო; გაკეთდა ცენტრალური გათბობა და ბაღი აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით. სარემონტო სამუშაოები სამომავლოდაც გაგრძელდება...

ბაღის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის არანაკლებ ზრუნავს დირექტორის მოადგილე **გიორგი ავაქოვი**, რომელსაც პარალელურად, „ხელმარჯვე ოსტატის“ ფუნქციაც აქვს შეთავსებული... პატარებს დიდ ყურადღებას აქცევს მეთოდისტი **ნაზი ქართველიშვილი**, რომელიც ადრე ბაღის დირექტორი გახლდათ.

ამჟამად, 125-ე ბაგა-ბაღში 6 ჯგუფი ფუნქციონირებს, აქედან ერთი ბაგის ასაკისაა. ასევე, ბაღში ჰყავთ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები, რომელთათვისაც სპეციალურად ინკლუზიური ჯგუფია შექმნილი.

პატარა აღსაზრდელებს დიდ ყურადღებას აქცევენ და მზრუნველობას არ აკლებენ აღმზრდელები: **ლია წიფურია**, **ნია ადიკაშვილი**, **მერი ქართველიშვილი**, **ციცინო ადუაშვილი**, **თამარ ბიბილეიშვილი**, **ანა ცინცაძე**; ასევე, აღმზრდელის თანაშემწეები: **ინგა ბაღათურია**, **თამარ დარჩიაშვილი**, **ეკატერინე კანთელაძე**, **ირინე ჭანელიძე**, **ფიქრია ყუშიტაშვილი**, **ლუიზა ქობალია-ქირია**.

ცეროდენების მუსიკალურ განათლებაზე ზრუნავს მუსიკისა და ცეკვის პედაგოგი – **ელენე დალაქიშვილი**. ბაღის სისუფთავეს აწესრიგებენ დამლაგებლები: **მარინე თამარაშვილი**, **მზია ქვლივიძე**, **დალი წიკლაური**, **ნანული ფირცხალავა**. შენობას კი, ერთგულად იცავენ დარაჯები: **დავით ჩხიკვაძე** და **ნიკოლოზ ყაზარაშვილი**. ასევე, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საქმის მწარმოებლის **ინგა ირემაშვილის** საქმიანობა და კოორდინატორების **ლეონინე ქართველიშვილის**, **ნინო გურგენიძის** (ექთანი) და **ნინო გარსევანიძის** ნაყოფიერი მუშაობა.

ალბათ დამეთანხმებით, რომ პატარების კვებაზე ზრუნვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმეა, ამ მხრივ ბაგა-ბაღში, მართლაც, შესანიშნავი მდგომარეობაა, რაც მზარეულ **მარინე ხოდელის** დამსახურებაცაა. ბაღის დირექტორის თქმით: კვების რაციონში დაცულია – კალორიების, ცილის, ცხიმის და ნახშირწყლების თანაფარდობა.

აღსანიშნავია, რომ ბაგა-ბაღში არაერთი ზეიმი და ღონისძიება იმართება, რომელშიც აქტიურად არიან ჩართულები მშობლებიც, ისინი კმაყოფილებას გამოთქვამენ, რადგან მათი შვილები აქ საიმედო ხელში არიან და პატარებს მზრუნველობას და ყურადღებას არ აკლებენ.

ივნისის ბოლოს დიდი ზეიმი ექნებათ: 48 სკოლისთვის კარგად მომზადებულ ცეროდენებს გზას დაულოცავენ პირველ კლასში შესასვლელად.

125-ე ბაგა-ბაღს უფრო გაძლიერებას და მხრების გაშლას ვუსურვებთ.

მზია გოგოძე

მოხუცის ოპტიმიზმი

ხომ მოვიტოვე ოთხმოცი წელი,
მივუახლოვდი ზღვაბრს.
კვალზე მომყვება შავი ყორანი
და არ მანებებს თავს.

გადავიარე მთა და ველები
და გადავცურე ზღვაც,
გზად სიყვარულის ფრთები ავისხი
და ვეახლები ცას.

ციდან დავხედო მინდა ჩემს მამულს
ერთიანსა და მძლავრს!
სხვა ნატვრა არ გამაჩნია
სხვა არა მინდა რა.

ნათელა ოდიშვილი

ამაზე გაჩუმება არ შეიძლება

წერა-კითხვა ხომ არ გავიწყდებათ?

ინდაურივით თავშეყოფილი შვილიშვილები ვერ მოვაშორე კომპიუტერს. პატარები კიარა, ჭარმაგებიც კი გადარია ცივილიზაციის ამ მონაპოვარმა, მის ჯანმრთელობას დაემუქრა, იოლად ფონს გასვლის სენი შეჰყარა, ლამის წიგნი და კალამი ხელიდან გააგდებინოს, ნარკოტიკივით შეიჩვია. ამას მე კი არა, ექიმები და ფსიქოლოგები მეცნიერულად ამტკიცებენ. წიგნი რომ წაიკითხო და ცოდნა შეიძინო, ამას ხომ შრომა უნდა, ენერგიის დაძაბვა, ტვინის შეწუხება. კაცის ბუნება ასეთია: ყველაფრის იოლად მიღწევა სურს, ოფლის დაუღვრელად.

დღეს იდიოტი უნდა იყო, კომპიუტერის მნიშვნელობა-სარგებლიანობას არ აფასებდე, მაგრამ მედალს ხომ მეორე მხარეც აქვს? მაშ, რა ვქნათ? სად ვეძებოთ გამოსავალი? ფსიქოლოგების აზრით, კომპიუტერით და მობილურით უსაზღვრო გატაცება (სულ ერთია, მოზარდი იქნება თუ ზრდასრული), პიროვნებას ერთგვარად ცლის ემოციებიდან. მოდით, ასე დავსვათ კითხვა: ამაღლდა თუ არა სწავლის, შეთვისებული ცოდნის დონე და ხარისხი, მას შემდეგ, რაც ცხოვრებაში ასე უმძლავრესად შემოიჭრა კომპიუტერი? მოსწავლე, სტუდენტი გადაეჩვია დამოუკიდებელ აზროვნებას. რაზე შეინუხოს თავი, როცა აგერ შეყოფს თავს და იოლად მიიღებს რა და რა გინდა ინფორმაციას. ამიტომ, რატომ შეინუხებს თავს მოსწავლე, სტუდენტი წერით, კონსპექტების შედგენით, არ ჯობია, შევყოფ თავს ინდაურივით, იმდენ ინფორმაციას მივიღებ, რომ... მაგრამ იმ ზღვა ინფორმაციის ათვისება სისტემატიზება არ გინდა?

თანდათან გადაეჩვია მოზარდი წიგნის ხელში აღებას. რამდენიმე პოეტს ვიცნობ, „ჯღაბნა მეზარებაო“ ამბობს და პირდაპირ კომპიუტერით ააწყობს თავისი მუზის ნაყოფს. ხალხური სიბრძნე, გაგვიგონია: „ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო“, ე. ი. ადვილად შესწავლილი, ადვილად გავიწყდება. ფსიქოლოგები ამბობენ: „რაც მეტი გრძნობათა ორგანო მონაწილეობს აღქმაში, მით მეტია შთაბეჭდილებათა კვალი (დამახსოვრება) ჩვენს ცნობიერებაში“.

თუ შენ წიგნს იშვიათად წაიკითხავ. თუ შენ იშვიათად დაწერ რამეს, შეუმჩნევლად ორივეს გადაეჩვევი.

ამას წინათ, საზოგადოებრივმა მაუწყებლობამ ძალზე საჭირო გადაცემა შემოგვთავაზა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ. მოწვეული ჰყავდათ ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები, რომლებმაც განგაშის ზარი შემოკრეს ქართული ასოების მართლწერას, კალიგრაფიას საფრთხე შეექმნაო. ექვსი წლის ლუკას წერას ასწავლიდნენ, ვერ სწავლობდა. ვინც წერა იცის, ჯღაბნის. კონსტანტინე გამსახურდია კი ნახატივით ლამაზ ქართულ ასოებს ეალერსებოდა: „ანი ნამგალს ჰგავსო, ბანი – ყელწერწეტა დოქს“. მაშ, რა ვქნათ? რა და, ბოროტად ნუ ვისარგებლებთ (განსაკუთრებით ბავშვები) კომპიუტერით, თორემ თავად გავხდებით მისი მსხვერპლი. რომში ერთ-ერთი საფლავის ქვას აწერია: „იგი ჭამდა და სვამდა ზომიერად“ და სწორედ იმ კაცმა 120 წელი იცოცხლა. „მეტის მეტი – ბრეტისბრეტი, ასე უთქვამთ ძველებს“. კალმახზე უფრო მარგებელი თევზი, აბა რომელია? მაგრამ ზომაზე გაცილებით მეტს რომ მიაძღა ლუარსაბი, „დაემართა კუჭის ანთება და ჩაბარდა პატრონს“.

კომპიუტერი ვერასოდეს შეცვლის წიგნს, წერა-კითხვას. იგი სწავლების უმაღლესი დონის ტექნიკური, დამხმარე საშუალებაა.

ექვსი წლის წინილასავით შეუბუმბლავ პირველკლასელს ნუ მივაჩეჩებთ კომპიუტერს. მოდით, მისი გამოყენება მეოთხე კლასიდან დავაწყებინოთ. მკითხველო, ამ პრობლემაზე შეიძლება დუმილი? მოდით, თქვენი მოსაზრება გვითხარით!

მოსე მწერალი

ჯაცი და ძაღლი

ერთი მოთხრობა მწერლის ახალი კრებულიდან

კარგად არ მახსოვს, ჩემთვის ეს მერამდენე იყალთოობა იყო. ისე მიმიხაროდა, თითქოს იმ დღეობაზე პირველად მივდიოდი.

მიწურული ღვინობისთვის დილის სიგრილე სადღაც მიიპარებოდა და ხაჟუჟმაჟუჟი სითბო ჰაერს ნება-ნება ეძალებოდა.

დღესაც და მგზავრობასაც კარგი პირი უჩანდა. ახალნაცნობობის ნავსი მალე გატყდა. ძველნაცნობობამაც თავისი გაიტანა და როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, იყო სხვისი თუ საკუთარი, უფრო მეტად კი საკუთარი, უკვე გამოქვეყნებული თუ ჯერ გამოუქვეყნებელი ლექსების ხმამაღლა კითხვა და თავმოწონება...

ჩვენი ყაყაჩოფერა „იკარუსი“ კი შარას ბორბლავდა და იმის სიგრძე-სიმოკლეს კიჭებს უსინჯავდა...

კარგა რომ გავიმანძილეთ, რომელიღაცა სოფელში, ერთმა ცნობილმა პოეტმა ლექსაობა შეწყვიტა, ჩვენ მოგვიბოდიშა და მძღოლს ყველას გასაგონად ჩაულაპარაკა:

– მეგობარო, აი, ამ სახლთან გავჩერდეთ ცოტა ხანსა, ერთი ჩვენიანი კარგი კაცი უნდა დავიმგზავროთ!

ყველამ კარგად ვუწყოდით, ვინ იყო ის ერთი კარგი კაცი. ისიც გზის პირას, თავის სახლთან გველოდა თავისი ჯალაბობით. როგორც კი მანქანა გაჩერდა და კარი გაიღო, მაშინვე, კაიგამარჯობისთანავე შემოგვაგება:

– ჩამობრძანდით, წავიხემსოთ, დავილოცოთ!

– ბარემ არ გვაწყენდა, მაგრამ... გზაზე ვდგავართ დაა... თუ დროზე არ მივედით, მერე ახლოს აღარ მიგვაჭაჭანებენ... მილეთის ხალხი იქნება იქა!.. – ჩააგებეს ავტობუსიდან.

– თითო ჭიქა-მეთქი, კაცოოო... თქვენ რა, არა მკადრულობთ თუ როგორაა თქვენი საქმე, ჰა?!

ის რომ არ გვეშვებოდა, ესენიც თავისაზე მაგრა იდგნენ.

– შენი ამბავი რომ ვიცით, აბა, ცალ ფეხზე ხო არ ვივლითო და თითოს მეორე და მესამე მოჰყვება... ამოდი, ამოდი... გვაგვიანდება... ჩვენ კი არ დაგველოდებიან!..

იმ ხვეწნა-მუდარასა და თავპატიჟში წამი წამს გამოეკიდა და გამოება. იწიკწიკეს, იწიკწიკეს, მერე წუთს მიეხუტნენ და ერთად გადაგორდნენ...

– აბა, რომელია მაგისი სახლი? – დრო იხელთა, იკითხა ყავისფერ პიჯაკ-ჰალსტუხში გამოჭიფხულმა შუახნის მამაკაცმა და ადგილიდან წამოიწია.

–ეგე! – მიათითა მეზობელმა.

– მდაა... – არცთუ ხმადაბლა ჩაიდუდღუნა იმან და სკამზე მძიმე-მძიმედ დაეშვა. ერთხანს იყუჩა. მერე უცბად ამოღერღა და ამოყარა:

– რამხელა სახლი ჰქონია, ერთი ვერ უყურებთ მაგასა?! არა, მაინც საიდან, როგორია, ჰაა?! ისე, რო ჰკითხო, ხელფასითა ცხოვრობს... აბაა?!

თანამგზავრი თავს არიდებდა, მაგრამ ყურებს სად წაიღებდა და დამალავდა? იჯდა ხალათის საყელოში კისერჩარგული და უხერხულობისაგან უმწეოდ წრიალებდა.

ბოლოს, დამხვდური დაგვემგზავრა და ჩვენც დავიძარით...

ჰალსტუხიანი ვერა და ვერ ისვენებდა. თვალებგადმოკარკლული იყალთომდე მთელი გზა გაუთავებლად ბურტყუნებდა. ერთთავად იმ გზისპირა სახლსა და იმის პატრონს ახსენებდა და რაღაცას ჩაციებით უკირკიტებდა... ესაო... ისაო...

არადა, ერთი ჩვეულებრივი ორსართულიანი ქვითკირის სახლი იყო, იმისთანა ყველა იმ სოფლელსა და მხარისას რომ ედგა ეზოში, არც მეტი, არც – ნაკლები.

იყალთოში დიდი დღეობა გაიმართა, რაც მალე პოეზიის ზეიმში გადაიზარდა და კახელების გულუხვ სუფრაზე გვიანობამდე გაგრძელდა...

მაგრამ, აქეთობისას, იმ გზისპირა ორსართულიანი ქვითკირის სახლის პატრონმა, გულზეხელმიდებულმა რომ გვთხოვა, აბა, ახლა ჩემი სტუმრები ხართ, ჩამობრძანდით, ოჯახი დამილოცეთო, მიწვევა ყველამ ხალისით მივიღეთ და ავტობუსიდან სათითაოდ ჩავიკრიფეთ.

თალარქვეშ გაშლილი სუფრა გველოდა.

მალე პურობა გაჩაღდა. საღღეგრძელოს სადღეგრძელო სცვლიდა, ისმოდა კახური ღვინით მოლიცლიცებული თიხის ჯამების ჭახუნი...

ღობესთან ქარვადაკრული ფოთლებითა და მწიფე, მეწამული ფერის ნაყოფით დახუნძლული ფშატის ხე ბრიალებდა.

შორიახლოს ეზოს ძაღლი თავისთვის დასუნსულებდა და ჩვენს მიმართ არავითარ ინტერესს არ იჩენდა. დიასახლისმა მაინც საჭიროდ ჩათვალა დავემშვიდებინეთ, ნუ გეშინიათ, კბენა არ იცისო...

ის იყო, მასპინძელმა მარნიდან ღვინით სავსე სველ-სველი ხელადა გამოიტანა და მაგიდაზე შემოდგა, ქალებმაც რაღაც-რაღაცები შემოამატეს...

სრულიად მოულოდნელად, სტუმართაგან რომელიღაცამ. გამწარებულმა შეჰყვირა, სასმისი ხელიდან გააგდო და მაგიდის ქვეშ ჩაიკუზა. ყველა იმას მივცვივდით, რა დემართაო. ამას ვინ წარმოიდგენდა: სუნსულა მიპარვოდა და წვივში წასტანებოდა. შარვლის ტოტი ხომ გამოუხია და გამოუფხრინა, ცოტა ჩიჩიაც მიეყოლებინა. კიდევ არ ეშვებოდა, კბილებს აელვებდა და ავად იღრინებოდა. როგორც იყო, მსხვერპლს მოაცილეს, გაწიხლეს და ამოაპანღურეს...

დაკბენილი სიმწრით იგრიხებოდა და ყელში ბურთგაჩრილი ჩიოდა:

– არა, რაღა მე... რა დავაშავე... ამდენ ხალხში რაღა მე ამომიჩემა და მეცა, ჰა?!.

ყავისფერ პიჯაკ-ჰალსტუხში გამოჭიფხული შუახნის მამაკაცი იყო. გასაკვირი ყველას გვიკვირდა, მაგრამ ყველაზე მეტად გაკვირვებული და გაოგნებული იმ ეზო-სახლ-კარისა და ძაღლის პატრონი ჩანდა:

– არა, მაგისგან ნაკბენი ვინა ნახა რო... ყეფაც არ გაგვიგონია... ღობეში მეზობლის გოჭი რო შემოძვრება და მთელ ბოსტანს გადაჩიჩქნის, ეგ გაექანება და ეთამაშება... ვერ გაგვიმეტებია... ლოპრიანი, ჯერ თვალგაუხელელი ლეკვი მოგვიგდო ვიღაცამ... ხელზე გავზარდეთ და ეგე?! ერთი დამიხედეთ მაგ წუკლაკასა, მაგასა! როგო შეგვარცხვინა, კაცოოო...



დაზარალებულს მიხედეს. ნაკბენი არყით ჩამობანეს, შეუხვიეს. გამოგლეჯილი შარვალიც ამოუნემსეს და გაუკერ-გამოუკერეს. კიდევაც ბევრი ამშვიდეს, მაგრამ ვერ დაამშვიდეს...

როდის-როდის სუფრა განახლდა.

ბოლოს ვიდროვეთ, ავიშალეთ და პირი შინისკენ ვიბრუნეთ...

ავტობუსში ახლა ლექსებსა და სიმღერასა და სიმღერას შუა-შუა ჩემამდე აღწევდა:

– არა, რაღა მაინცდამაინც მე... რაღა მეე... ჰაა?!.

ჰოდა, მართლა და მართლა, რაღა მაინცდამაინც ის... რაღა ის... რაღა ის...

გზა ღვედივით იკეცებოდა და მოკლდებოდა.

თინათინ სიყმაშვილი

სევდა, ოქროვად აკინძული

„სულ ცოტა ხნის წინ საბერძნეთში ქართული დიასპორის გაზეთ „ელადის“ მიერ გამოცემული „ოქროს საწმისის ბიბლიოთეკის“ 31-ე ტომი დაეთმო სალონიკში დროებით მცხოვრები, არაჩვეულებრივი ქალბატონის, რუსთაველი **ლალი ყრუაშვილ-ხვთისიაშვილის** შემოქმედებას, რომელიც „ერთ მინორულ გამად აღიქმება ემიგრანტულ ლიტერატურაში...“ ამ შესავლით იწყება საბერძნეთის ქართული დიასპორის გაზეთ „ელადის“ დამფუძნებლის და მთავარი რედაქტორის **ანა ყურშაიშვილის**, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის სარეცენზიო წერილი ავტორის – **ლალი ხვთისიაშვილის** წიგნში, რომლის სახელწოდებაა – „ვერ გამიცია გული სიშორემ“. წიგნს ასევე ახლავს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის **მაყვალა გონაშვილის** და საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩის საბერძნეთის რესპუბლიკაში **დავით ბაქრაძის** შესავალი წერილები, რომლებშიც ხაზგასმულია პოეტი ქალბატონის პიროვნული ნიჭიერების, ადამიანური ღირებულებების და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის შესახებ.

...ამჟამად ლალი სამშობლოშია თავის საყვარელ ქალაქ რუსთავში და უსაყვარლეს ოჯახთან. მან, ერთი ქართველი ქალის კვალობაზე, უბედნიერესი ბიოგრაფიიდან, შემდგომ, ურთულესი გზა გაიარა. მუშაობდა მეტალურგიულ, ლითონკონსტრუქციების ქარხანაში, ჰქონდა დამშვიდებული ცხოვრება, მოგვიანებით, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ თავის ორ ქალიშვილთან ერთად იგი საბერძნეთის გზას გაუყენა. 17 წელი – სამშობლოს საზღვრებს მიღმა, უამრავი ტანჯვა, ცრემლი და სევდა, მაგრამ ერთდროულად იმის გათავისებაც, რომ უცხო ქვეყანაში შენი ქვეყნის დესპანი ხარ და არ გაქვს უფლება დაცემისა და მოდუნებისა.

და პოეტი ქალი საკუთარი თავის გადასარჩენად ლექსს დაუმეგობრდა. თანამოაზრეებიც ბევრი გაიჩინა – **რუსუდან ლეჟავა**, **ლეილა სებისკვერაძე**, **ლეილა სოლოლაშვილი**, „ელადის“ რედაქტორის მოადგილე ქ. სალონიკში და ლალის პოეტური კრებულის რედაქტორი, რომელმაც, პირველმა წაიკითხა და „ელადის“ ფურცლებზე დაუბეჭდა ლალი ხვთისიაშვილს ლექსები.

თამარ ბიბილაშვილი, **ციური გრიგოლაშვილი**, **უნძინა ტაბატაძე**, **ნანა გოგოლაძე-კავთილაძე**, **ნატო ბულიკაშვილი**, **ლია წიქარიშვილი**, **ლუიზა ტალახაძე**, **ნორა კიკნაძე**, **ნანა გელაშვილი** და უამრავი სხვა ქართველი, რომლებიც სათუთი და ლამაზი სულის ქალბატონთან მეგობრობდნენ და ყველანი ერთად ინაწილებდნენ სამშობლოს მონატრების სევდას. წიგნის პრეზენტაციას სალონიკში ლიტერატურისმცოდნე **ელგუჯა ციგროშვილი** უძღვებოდა, მუსიკალურად კი კომპოზიტორი **მერაბ სიამაშვილი** ახმოვანებდა.

პოეტის წიგნში შესული ლექსები გულწრფელი ემოციითაა სავსე და მათი უმეტესობა ცრემლითაა დაწერილი.

ავტორს წიგნში შეტანილი აქვს ჩანახატები, ჩანაწერები და მიმოწერები ახლობლებთან, რომელიც ასევე სევდისმომგვრელია და ბევრი რამის მთქმელი.

ამ მშვენიერი წიგნის მშვენიერ ავტორს **ლალი ხვთისიაშვილს** ცოტა ხნის წინ შეხვედრა გაუმართეს რუსთაველმა პოეტებმა და მწერლებმაც, წიგნისმოყვარულმა საზოგადოებამ, ახლობლებმა.

თავის ბიოგრაფიაზე და ლექსების შექმნის ისტორიაზე ცრემლით უყვებოდა პოეტი აუდიტორიას.

...ჩვიდმეტი წლის მერე დავბრუნდით საქართველოში და ჩემს შვილებს ისევ ტკივილიანი განცდა გვაქვს – ბევრი არაფერი შეცვლილა საქართველოში, პრობლემები ისევ აქვს ერს, უმუშევრობა ყველაზე დიდი საშინელებაა, მებრალება ჩემი ქვეყანა... მე მსურს ჩვენი ქვეყნის მეთაურებმა იცოდნენ, რა უსაზღვრო ტანჯვასთან არის დაკავშირებული თითოეული ემიგრანტის ყოველდღიური ცხოვრება, ჩვენ ხომ, ფაქტიურად, დაქირავებული ადამიანები ვართ, ნუთუ ერის ეს მდგომარეობა არავის არ უნდა აწუხებდეს...

ჩემთვის ყველაზე დიდი ტკივილია ის, რომ ჩემი მშობლები ჩემს უნახავად წავიდნენ ამქვეყნიდან, რამდენია ჩემისთანა...

წიგნში შესულია ავტორისადმი მიძღვნილი ლექსები, მისდამი მიწერილი წერილები – ყველაფერი ერთად საოცრად გულსატკენია და მეორე მხრივ იმის დამადასტურებელიც, რომ: პოეზია და ლექსის სიყვარული რომ არა, სულის გადარჩენა შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი ბევრი თანამემამულისთვის საზღვრებს მიღმა.

ლალი ყრუაშვილი-ხვთისიაშვილი კიდევ აგრძელებს წერას, რადგან კოლეგებისაგან წაქეზებულს, მიაჩნია, რომ საქართველოს და ქართველობასაც ეშველება, სამშობლომონატრებული ქართველები კი სამშობლოს დაუბრუნდებიან. სრულყოფილი ბედნიერების საბაბიც ეს იქნება პოეტისთვის, რომელსაც გული ნამდვილად ვერ გაუცია სამშობლოდან მოშორებამ და იგი საქართველოს დიდ ჭირისუფლად და მეხოტბედ დარჩა.

პოეტს რუსთავის საგანმანათლებლო ობიექტებში შეხვედრებს უწყობენ და სიამოვნებით იზეპირებენ მის ლექსებს მოსწავლეები.

გთავაზობთ პოეტის კრებულიდან ორიოდე ლექსს

გაახილეთ თვალები

მწვანედ კვნესის სიონი და
ქაშუეთის ზარები,
ქართველებო, გლოვის დღე გვაქვს,
გაახილეთ თვალები.
დაგვიხოცეს პატრიოტი,
გამბედავი შვილები,
მომავალი ცხოვრებისკენ
დაგვიხურეს კარები.
პრეზიდენტი ამერიკის
დაკრულ ტაშზე აცეკვდა,
საცოდავი ხალხის ცრემლით
შადრევნები აკვნესდა.
გაყიდული ტყე და მთები,
უცხოს ხელში აღმოჩნდა,
გაქცეული ქართველობა
სხვის მიწაზე აღმოჩნდა.
დაბრუნებას ველარ ვბედავთ,
შიში გვიპყრობს ყველასი,
მონობაში აღებულ ფულს
შეგვარჩენენ, ნეტავი?!

დედა

შენ არ მოკვდები, დედავ, არასდროს,
რადგან შენს შვილში სული დევს შენი,
შენი ფიქრები და ოცნებები
ფრთებს გამოისხამს შვილიშვილებში.

მკვდრად არ ითვლება კაცი არასდროს,
კაცი, რომელიც ხეს დარგავს, თუნდაც,
შვილის გამჩენი დედა არასდროს
აღარ მოკვდება, იცოცხლებს მუდამ.

დედის ფიქრები და ოცნებები
თავს დასტრიალებს ოჯახს და შვილებს,
საკუთარ ტკივილს არაფრად აგდებს,
მათთვის გასწირავს თუნდაც სიცოცხლეს.

როგორ გაზარდოს ყველასთვის კარგი,
რომ გამოადგეს ოჯახს და მამულს,
შენ არ მოკვდები, დედავ, არასდროს,
კარგი შვილები ახარებს შენს გულს!

მუდამ გვიყვარდეს პირველი მასწავლებელი!

პირველ მასწავლებელთან დაშორების განცდა მეტად მძაფრია, სასიხარულოც არის და სევდაშეპარულიც. კიდევ ორიოდე კვირა და მეოთხეკლასელი მერცხლები მეხუთე კლასში გადაფრინდებიან, სულ სხვა მასწავლებლების ხელში აღმოჩნდებიან.

რას განიცდის ამ დროს პირველი მასწავლებელი? სწორედ ამ თემის გასაშუქებლად ვეწვიეთ თბილისის 133-ე საჯარო სკოლას. შარშან ჩინებულად დაიწყეს აქ სასწავლო წელი გამოცდილმა დირექტორმა **ლიანა ფუტკარაძემ** და მისმა პედაგოგებმა. მოსწავლეები უამრავ შემოქმედებით ღონისძიებაში არიან ჩართულნი. ეს ცალკე მსჯელობის თემაა.

ახლა ჩვენს სათქმელს მივუბრუნდეთ. გავიცანი და ვესაუბრე IV^ა კლასის დამრიგებელს, გამოცდილ, ერუდირებულ პედაგოგს **მარინე გათაშვილს**. ცეროდენები, რომლებიც შეუბუმბლავი წინილებივით ჩაიბარა ოთხი წლის წინათ, უკვე დაფრთიანებულან. ეს მეოთხე თაობაა, რომელიც მალე გაუფრინდება ქალბატონ მარინეს, როგორც ქეთოს მერცხალი. მარინე მასწავლებელს ვთხოვეთ, ამათთან თავისი ოთხწლიანი მუშაობის პერიპეტიები წერილობით გადმოეცა.

* * *

გზას დავულოცავ ჩემს მერცხლებს

ჩემი პატარა მერცხლები ორიოდე კვირაში თავიანთ ბუდეს დატოვებენ და გამიფრინდებიან იქ, სადაც ახალი ცხოვრება ელით. ისინი V კლასში გადადიან... უკან დაგვრჩა ანბანთან გატარებული საათები, მათემატიკის პირველი საფეხურები, ღია გაკვეთილები, მხიარული საღამოები... ახლა უკვე დიდები არიან, მაღლები, ჭკვიანები, ხალისიანები... რაც კი შემეძლო და სჭირდებოდათ, ყველაფერი ვასწავლე. ისინიც მომჩერებოდნენ თავიანთი გაფართოებული, ინტერესჩამდგარი თვალებით და მეუბნებოდნენ – ეს ყველაფერი გავიგეთ და უფრო მეტი გვინდაო. ამაზე უკეთესი არის რამე მასწავლებლის მაცოცხლებელი და მისთვის სტიმულის მიმცემი?

ოთხი წელი გასულა... ჩემთვის იგი მთელი სამყაროა, მთელი ეპოქაა. ეგზიუპერისა არ იყოს, „ყველა ბავშვობიდან მოვდივართ“, მათთან ერთად ვცელქობდი და ვხარობდი. მათთან ერთად, როგორც პედაგოგი, მეც გავიზარდე.

ამ ხნის მანძილზე რამდენი სასიამოვნო წუთები განგვიცდია ერთად, რამდენი საინტერესო გაკვეთილი, საუბრები, დისკუსიები გაგვიმართავს, რამდენჯერ შემიქია ჩემი პატარები აქტიურობისა და ბეჯითობისთვის, ზრდილობისთვის. ყოველთვის მაქსიმალურად ვითვალისწინებდი მათ ინტერესებს, ვთანამშრომლობდი მათ მშობლებთან და ერთობლივად ვაღნევდით წარმატებას.

ახლა კი უნდა გავაცილო, დავემშვიდობო, გზა დავულოცო ყველას. კიდევ ერთი სასიამოვნო დღე ვაჩუქო ჩემს ხელში მოჩიტულებს (მხედველობაში მაქვს ამ თვის ბოლოს დაგეგმილი ღონისძიება) და თვალყური მივადევნო მომავალშიც.

6 ივნისს წავალთ ექსკურსიაზე ჩარგალში და ვფიქრობ, კიდევ ერთი ლამაზი მოგონება შეემატება მათ ბიოგრაფიას.

ჩემი მოსწავლეების ყველა წარმატება ჩემთვის მუდამ ბედნიერება იქნება, ყველა წარუმატებლობა კი – ტკივილი. მაშ, სწავლის გზა დამილოცნია თქვენთვის, ჩემს ხელში დაფრთიანებულო მერცხლებო – გზა ცოდნის შეძენისა, შრომისა, მამულიშვილებად ჩამოყალიბებისა. ყოველთვის ვიქნები თქვენი პირველი დამრიგებელი. ჩვენ მეგობრებად დავრჩებით.

მარინე გათაშვილი,
თბილისის 133-ე საჯარო სკოლის
IV^ა კლასის ხელმძღვანელი

სასწავლო წლის ფინიში

საჯარო და კერძო სკოლებში „ბარაქიანი შემოდგომაა“ – ცოდნის მოსავლის აღების დრო.

ასეა განახლებულ, გაბრწყინებულ თბილისის 106-ე სკოლაშიც. მე-12 კლასელებმა ბოლო ზარი დარეკეს. ახლა კი გახურებული გამოსაშვები გამოცდები მიმდინარეობს. შვებით ამოისუნთქეს პედაგოგებმა მთელი წლის გარჯის შემდეგ. ამ ფოტოზე თქვენ ხედავთ მათ მხიარული, კმაყოფილი სახეებით.

სკოლის დირექტორი **თენგიზ გულორდავა** ესაუბრება მასწავლებლებს იმაზე, თუ როგორ ორგანიზებულად და წარმატებით უნდა დაასრულონ სასწავლო წელი.

ჩვენი სკოლა – 106-ე

ყველაფერს რომ გვირჩევნია,
მშვენდება და ლამაზდება
ყველას ერთად გვიხარია
ის რომ ასე ძლიერდება.
დირექტორი მზრუნველია,
თბილია და კეთილია...
გავიგეთ რომ მას ბავშვები,
თავზე მეტად ყვარებია.
ბავშვებმა თქვეს, პედაგოგი
ყველა კარგი, ძლიერია
თითოეულს ჩვენზე ფიქრში
ღამეები უთევია.
გეფიცებით, დავაფასებთ,
თქვენს სიხარულს, დარდს...
ღირსეულად გავაგრძელებთ
წინაპართა გზას.

ლია ზურაბაშვილი,
პედაგოგი

ჯანმრთელობის გარანტი

რისგან მოგარჩენთ ლამარა თოდუა?

სახელგანთქმული მკურნალების, **თოდუების** საგვარეულო წამლები და მალამოები ოდითგანვე იყო ცნობილი. ამ საგვარეულოს ტრადიციების მეტად წარმატებული გამგრძელებელია კოსმეტოლოგი **ლამარა თოდუა**, რომლის მარჯვენას ლოცავს და ემადლიერება უამრავი პაციენტი, მათ შორის ამ გაზეთის რედაქტორი.

იგი მცენარეული წამლებით ეფექტიანად კურნავს: **კანის ნებისმიერ გამონაყარს, ნაოჭს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, ქავილს, ფსიქოზს, ჩირქოვან სოკოვანებს, გასქელებულ ფრჩხილებს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, ჰაიმორიტს – 10 დღეში, ქერტლიანობას, ერთი პროცედურით აშორებს ტილებს, აჩერებს თმის ცვენას.** მისი მალამოები მისწრებაა მშობიარეთათვის: **აქრობს მკერდის გამაგრებას, ანთებებს, უმასაჟოდ ხსნის რძის სადინარებს. სწრაფად ახორცებს დამწვრობას ნაიარევისა და ლაქების გარეშე. ორგანიზმის გაწმენდის უებარი საშაულებაა.**

მალამოებით უკვალოდ აქრობს **ნაწოლებს**, თუნდაც **ჩირქოვანებს, თმის ჩაბრუნებას**, ახორცებს **ნაოპერაციებს**.

ამ პრობლემების მოსაგვარებლად, გირჩევთ, მიმართოთ გამოცდილ მკურნალს მისამართზე: **ოთარ ჭილაძის ქ. №166, №1 კორპუსის უკან,**

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82
მკურნალობით უთუოდ კმაყოფილი
და მოგებული დარჩებით.

რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+
№ 9 (4513)
27 მაისი, 2015 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(0 32) 2 98 48 07; (0 32) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009